შეშის ეფექტური ღუმელი

ბროშურა მომზადებულია პროექტი: "ენერგოავტობუსის" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია BP-სა და მისი პარტნიორების მიერ

პროექტი ხორციელდება კავშირი "ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს" მიერ

დეტალური ინფორმაციის მისაღებად
დაგვიკავშირდით
თბილისი, 0160, დ.გამრეკელის ქუჩა №19,
ოფისი № 611, VI სართული

ტელ: +99532 224 25 40, 224 25 41
ფაქსი: +99532 224 25 42
ელ.ფოსტა: eecgeo@eecgeo.org
ვებ. გვერდი: www.eecgeo.org
ენერგო ეფექტურობის ცენტრის საქართველო

ღუმელის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, ისეთი ღონისძიებები უნდა გატარდეს, როგორიცაა:

- ☐ ღუმელის ქვეშ იატაკის ცეცხლგამძლე საფარის დაგება;
- ☐ ცეცხლგამძლე საფარის დამაგრება, კარების გაღების დროს წვის კამერიდან ნაკვერჩხლის შესაკავებლად;
- ☐ მყარი კონსტრუქციის ღუმელების დამზადება ბასრი კიდეებისა და მახვილი წვეტების გარეშე;
- ☐ საკვამური მილების სწორად დამონტაჟება;

საქართველოში შეშის წვის ღუმელები მზადდება შეკვეთით და სხვადასხვა ზომისაა. ღუმელების ფასი 120-დან 250 ლარის ფარგლებში მერყეობს. ცხადია, უფრო ეფექტური ღუმელი შედარებით ძვირია, მაგრამ საექსპლოატაციო ხარჯებისა და ხანგამძლეობის გათვალისწინებით უფრო იაფია.

აღსანიშნავია, ის რომ შეშის ეფექტურ ღუმელებს შეიძლება გაუკეთდეს ცხელი წყლის ბაკი. კერძოდ, ღუმელს უნდა მიურთდეს ცხელი წყლის ბაკი, რომელიც მიმაგრებული იქნება კედელზე. ასევე შეშის ნაცვლად შეიძლება საწვავად გამოყენებულ იქნას გაზი. ამისათვის ღუმელში უნდა დამონაჟდეს გაზის წვის კვანძი.

საქართველოს რეგიონებში შეშა ფართოდ გამოიყენება სახლების გასათბობად. თუმცა, შეშა ლიმიტირებული ენერგორესურსია, რომელიც სწრაფად მცირდება.

ხე-ტყის სიმცირის გამო მასზე ფასი იზრდება და სოფლებამდე მისი ტრანსპორტირება სულ უფრო შორი მანძილებიდან ხდება საჭირო. პრობლემა ორგვარია: გასათბობი სახლების თბოიზოლაცია ცუდია, გასათბობად გამოყენებული შეშის ღუმელები დაბალეფექტურია და ცუდად არის დამზადებული. შესაბამისად, მოსახლეობა ზამთრის პერიოდში დიდი რაოდენობით შეშას მოიხმარს. შეშის დაზოგვის მიზნით სასურველი იქნება, მოსახლეობამ აირჩიოს შეშის ეფექტური ღუმელები.

საქართველოს რეგიონებში უმეტესად ისეთ შეშის ღუმელებს იყენებენ, რომელთა ეფექტურობა 20-25%-ს არ აღემატება. რაც იმას ნიშნავს, რომ მათში შეშის წვის დროს წარმოქმნილი სითბოს მხოლოდ 20-25% გამოიყენება სასარგებლოდ.

არსებობს ეფექტური შეშის ღუმელები, რომლებიც ნაკლებად აბინძურებენ გარემოს, ნაკლებ შეშას მოიხმარს იგივე რაოდენობის სითბოს მისაღებად, ვიდრე ჩვეულებრივი შეშის ღუმელები.

რა განმასხვავებელი თვისებებით ხასიათდება შეშის ეფექტური ღუმელი მარტივი შეშის ღუმელისგან

- ☐ შეშის ეფექტურ ღუმელებს აქვთ იზოლირებული წვის კამერა, ასევე კვამლის კამერა, შემომავალი ჰაერის რაოდენობა რეგულირდება;
- ☐ ამ ტიპის ღუმელის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია იზოლირებული წვის კამერა სადაც წვის პროცესის ხელშესაწყობად საჭიროა ჰაერის გარკვეული რაოდენობა (დაახლობით 6გრ აირი ყოველ 1კგ დამწვარ შეშაზე);
- ☐ ეფექტური შეშის ღუმელების მ.ქ.კ. 50-60%-ის ფარგლებში მერყეობს და შეშის საშუალო ხარჯი დაახლოებით 1კგ/სთ-ია ანუ აღნიშნული ღუმელები ერთანხევარ-ორჯერ ნაკლები რაოდენობის შეშას მოიხმარენ;
- ☐ ასევე ეფექტური შეშის ღუმელების კედლების სისქეც განსხვავებულია ჩვეულებრივი ღუმელებისგან. კერძოდ ეფექტური შეშის ღუმელების გვერდითა კედლის სისქედ რეკომენდირებულია –2 მმ, ხოლო ღუმელის ზედაპირის კი 4 მმ;

მაქსიმალური სიმძლავრე 15კვტ, გასათბობი ფართი დაახლოებით 30კვმ;

ენერგოეფექტური ღუმელის აღწერა:

ღუმელის შირითადი ნაწილებია:კორპუსი – 1; ფურნაკი – 2; წვის კამერა – 3; სანაცრე ყუთი – 4; ჩამკეტი ფარი – 5; საკვამლე მილი – 6; საჰაერო მილი – 7; საცხობი -8; ცხელი წყლის მილი – 9,10;



ეფექტური ღუმელების უპირატესობა

- ☐ ზოგავთ ფულს, იმიტომ რომ სახლის გასათბობად ნაკლები შეშაა საჭირო;
- ☐ ზოგავთ დროს, იმიტომ რომ ღუმელს ნაკლები ყურადღება სჭირდება;
- ☐ სახლი უფრო სუფთაა, ვინაიდან სახლში ნაკლები შეშა შემოტანაა საჭირო;
- ☐ სახლში არ არის ძლიერი კვამლის სუნი;
- ☐ ღამით სახლი უფრო დიდ ხანს რჩება გამთბარი;
- ☐ უფრო კომფორტულია;
- ☐ სახლი უფრო თბილია დილას, ვიდრე გაუმჯობესებული ღუმელის დადგმამდე;
- ☐ სახლის ტემპერატურა ისე ძლიერად არ მერყეობს;
- ☐ ტემპერატურის დასარეგულირებლადფანჯრის გაღების ნაკლები საჭიროებაა;
- ☐ უფრო ჯანსაღია ბავშვებისათვის და უფროსებისათვის;
- ☐ ბავშვები არიან ღუმელით გამოწვეული დაზიანებების ნაკლები საშიშროების ქვეშ;
- ☐ მხუთავი გაზით მოწამლვის ნაკლები საშიშროებაა;

ღუმელის შერჩევის დროს არ არის საკმარისი მხოლოდ ეფექტურობის გათვალისწინება. დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ მის უსაფრთხოებას.

შეშის ღუმელები საქართველოში მცირე სახელოსნოებში მზადდება. კუსტარულად დამზადებული ღუმელების უსწორმასწორო ზედაპირის, არამყარი საკვამურების გამო ხშირია დამწვრობისა და ხანძრის გაჩენის შეთხვევები.